პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 121 (9212)
22 ივნისი
კვირა.
1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

16 ივლისს მინსკში დაიწყება სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში.

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტორეპორტაჟი მექსიკიდან

იხ. მე-4 გვ.

შემობრუნება ხარისხობრივი მაჩვენებლებისკენ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში. ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმებზე და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე განხილულმა საკითხებმა უდიდესი რეზონანსი გამოიწვია როგორც ჩვენში, ისე მთელ მსოფლიოში. პარტიის კურსი იქითკენ არის მიმართული, რომ უზრუნველყოს მშვიდობიანი ცხოვრება და შრომა, მიღწეული იქნეს უფრო ღრმა და მტკიცე თანამშრომლობა მსოფლიოს ყველა ხალხს შორის. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

სპორტული მოძრაობა ის უდიდესი სფეროა, რომელსაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვს თანამედროვე ცხოვრებაში, მსოფლიო ხალხების ურთიერთობაში. სპორტს ტყუილად როდი უწოდებენ „მშვიდობის დესპანს".

ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის ყველა ეტაპზე ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს საერთო საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდათ. ასეა დღესაც. მილიონობით ფიზკულტურელი მოწინავე შრომით ვახტზე დგას, ტრადიციების ერთგული ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები სიხარულს ანიჭებენ მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს. პლენუმისა და სესიის მიერ ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესასრულებლად დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისთვის საჭიროა ვიმუშაოთ ახლებურად, მაქსიმალური მონდომებით, საბოლოო შედეგის გათვალისწინებით. საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში მკაფიოდ ჩამოყალიბდა მომავლის გეგმების ხორცშესხმის გზები.

ახალი ხუთწლედის განვლილ პერიოდში ჩვენი ცხოვრების მრავალ დარგსა და სფეროში დაიწყო „შემობრუნება მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლებისაკენ". გამონაკლისს, ცხადია, არც ფიზკულტურისა და სპორტის სფერო წარმოადგენს. აქ უკვე მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები. შემოქმედებითი ძიება, რეზერვების გამოვლენა-ამოქმედება, რამაც საბოლოო ანგარიშით მუშაობის მწყობრი სისტემა უნდა უზრუნველყოს, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების უმთავრესი საზრუნავია.

მიმართვაში ყურადღება გამახვილებულია სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებაზე. ეს ყველას გვეხება. მეტიც, ჩვენს სფეროში დროის მწვავე დეფიციტსაც კი განვიცდით — ვისაც სპორტში წარმატების მოპოვება სურს, მან დროს უნდა გაუსწროს კიდეც. „მტკიცედ აღმოვფხვრათ იერიშობანა და ავრალები, მოჩვენებითობა და წამატებები..." მიმართვის ამ სიტყვებში არ შეიძლება ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჯერ კიდევ ფესვგადგმული ნაკლოვანებები არ დავინახოთ, საკუთარი თავი და მუშაობის სტილი არ შევიცნოთ. სამწუხაროდ, ეს ასეა და უნდა ვაღიაროთ. რაც მთავარია, რადიკალურად უნდა გარდავქმნათ მუშაობა სადღეისო მოთხოვნების კვალდაკვალ. დაჩქარება ავტომატურად, თავისთავად არ მოხდება. აქ თვით ადამიანებმა, პირველ ყოვლისა, თავიანთ სამუშაო უბნებზე, უნდა თქვან გადამწყვეტი სიტყვა. ახალი ძალა უნდა შთავბეროთ, სრულიად ახლებური ელფერი უნდა მივცეთ სოციალისტურ შეჯიბრებებს.

საკუთარი წვლილი შევიტანოთ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული კურსის ხორცშესხმაში — აი, რა არის რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების, ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანა. მთელი ძალები და შესაძლებლობები მოვახმაროთ ამ ამოცანების წარმატებით შესრულებას.

„ჯანმრთელობის ესტაფეტის" პროგრამით ჩვენს რესპუბლიკაში ყოველ შაბათ-კვირას ტარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. გუშინ კიდევ ერთი ასეთი ღონისძიება გაიმართა. თბილისში, პლეხანოვის გამზირზე რკინიგზელთა სახლის წინ მასობრივი კროსის სტარტზე დადგნენ დედაქალაქის ათზე მეტი წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეები. შემდეგ გაიმართა შეჯიბრებები ბაგირის [illegible], სიმძიმეების აწევაში, მინი-ფეხბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

[illegible] ღონისძიების ორგანიზატორი იყო სპორტსაზოგადოება „განთიადის" თბილისის საქალაქო საბჭო.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ძნელი გამოცდა

დნეპროპეტროვსკი. საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის მეორე ეტაპზე (ჯგუფური რბოლა 100 კილომეტრზე) მოულოდნელი არაფერი მომხდარა. პირველი ადგილი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ა. საიტოვმა და დ. კონიშევმა გაითამაშეს. ფინიშის ხაზი ა. საიტოვმა უფრო ადრე გადაკვეთა (2:20.02) და გამარჯვებაც მას დარჩა. კონიშევი მეორე იყო (2:20.07).

მესამე ეტაპზე ველოსიპედისტებს ძნელი გამოცდა ელოდათ. ინდივიდუალური რბოლისთვის (35 კმ) გამოყოფილი ტრასა საკმაოდ ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა. და მაინც პირველი ადგილი ჩვენი საგზატკეცილო ველოსპორტის ლიდერმა ასიატ საიტოვმა დაისაკუთრა. მეორე შედეგი უკრაინელმა ოლეგ ჩუჟდამ აჩვენა, მესამე ადგილზე კი მისი თანამემამულე ვასილი ჟდანოვი გავიდა.

სამი ეტაპის ჯამში ლიდერობას უკრაინელი ველოსიპედისტები ინარჩუნებენ.

ა. იაკოვლევა ლიდერობას არ თმობს

ჩერნოვცი. გრძელდება საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალთა მრავალდღიანი რბოლა ველოსპორტში. მეხუთე ეტაპი 70 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლას დაეთმო. ამჯერად ყველას უკრაინის წარმომადგენელმა ს. როჟკოვამ აჯობა — 2:02.44.

ხუთი ეტაპის ჯამში ლიდერი კვლავ ა. იაკოვლევაა (რსფსრ) — 11:05,53. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ უზბეკეთის ველოსიპედისტები.

რაპირისტებმა ბრძოლა დაამთავრეს

ლენინგრადი. როგორც ვიუწყებოდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი რაპირით ფარიკაობაში ბელორუსიის წარმომადგენელმა ა. რომანკოვმა მოიპოვა. ფინალში საპრიზო ადგილებისათვის მასთან ერთად იბრძოდნენ მოსკოველი ვ. ლაპიცკი, კუიბიშეველი ს. სომოვი, ყაზანელი ი. შაიმარდანოვი, თბილისელი ვ. აფციაური, დუშანბელი ა. გერასიმოვი, ლენინგრადელი ლ. სტეპანოვი და მინსკელი ა. ფედინი.

გადამწყვეტ ბრძოლაში რომანკოვმა ლაპიცკი დაამარცხა (10:7), ხოლო სომოვმა — შაიმარდანოვი (10:8). პრიზიორთა სამეულში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: რომანკოვი, ლაპიცკი, სომოვი. შაიმარდანოვი, რომელიც მანამდე აფციაურთან დამარცხდა (6:10), მეოთხე ადგილზე დარჩა, თბილისელმა მოფარიკავემ კი მეხუთე ადგილი დაიკავა.

ამ სახეობაში გუნდური მედლებიც გათამაშდა. საქართველოს რაპირისტებმა ფინალურ ჯგუფში მოასპარეზეთა შორის VIII ადგილი დაისაკუთრეს. პირველ სამეულში კი ბელორუსიის, მოსკოვისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები მოხვდნენ.

გიწვევთ კონკურსზე

ძვირფასო მეგობრებო!

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე, როცა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი თამაშობს, ტაიმებს შორის შესვენებათა დროს იმართება საინტერესო ღონისძიებები, მხატვრული სანახაობანი, შეჯიბრებები, რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენები თავიანთ ოსტატობას აჩვენებენ მაყურებლებს, მატჩზე მოსული გულშემატკივრები აქტიურად მონაწილეობენ ამ სანახაობებში, ამხნევებენ მონაწილეებს, სარბიელი ხშირად ეთმობა ნორჩებს, ტრიბუნებზე ხალისი და მხიარულებაა.

რომ უფრო საინტერესო იყოს ეს ღონისძიებანი, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის დირექცია აცხადებს კონკურსს საუკეთესო სცენარზე, რომელთა მიხედვითაც გაიმართება ეს მასობრივ-სპორტული ღონისძიებები. მათში ნორჩმა ფიზკულტურელებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, გამოცდილმა სპორტსმენებმაც და უშუალოდ მაყურებლებმაც.

„დინამოს" სტადიონის დირექციამ დააწესა სამი პრემია:

პირველი პრემია — 200 მანეთი.
მეორე პრემია — 150 მანეთი.
მესამე პრემია — 100 მანეთი.

გარდა ამისა, დაწესებულია სამი წამახალისებელი პრემია — 1987 წლის საფეხბურთო სეზონის მუდმივი საშვი ცენტრალურ სტადიონზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, საკონკურსო სცენარები უნდა წარედგინოს „დინამოს" სტადიონის დირექციას.

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

დღეს მეოთხედფინალში ითამაშებენ:

ესპანეთი—ბელგია

არგენტინა—ინგლისი

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობების წინ

ბიბლიოთეკა

თუ გამარჯვებაზე ფიქრობ

ონის სპორტული კომპლექსი ოფიციალურად ჯერ არ არის გახსნილი, მაგრამ მთავარ სარბიელზე კარგა ხნის წინ დააგეს საჭიდაო ხალიჩები. კომპლექსი ახლა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდაეთა ნაკრებს მახპინძლობს, თუმცა მარტო კომპლექსი კი არა, მთელი რაიონია მახპინძელი. ჩვენი ფალავნები სწორედ აქ ემზადებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა მეცხრე სპარტაკიადისთვის და რა გასაკვირია, რომ მათ ონელთა უურადღება არ აკლიათ. არც ის არის გასაკვირი, რომ აქაურები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ თავისუფალი ჭიდაობისადმი — მხოფლიოს „აბსოლუტური“ ჩემპიონი ხომ ონის მკვიდრია...

„ვრემია“ ახალი დამთავრებული იყო, ჩვენი მანქანა სასტუმრო „რაჭას“ რომ მიადგა. მოჭიდაველები უკვე თავიანთ ოთახებში გაკრეფილიყვნენ. ნაკრების მეცნიერ-კონსულტანტი გულივერ გოლეთიანი ფოიეში მაგიდაზე გაშლილ სამუშაო გეგმას ჩაჰკირკიტებდა. მისალმებას უმალ „პროფესიული“ საუბარი მოჰყვა: „ორ კვირაზე მეტია ონში ვართ. ეს არის ბოლოსწინა სავარჯიშისთვის. ახლა ისაუზმებენ, ცოტას დაისვენებენ და... ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ მეორდება ერთი და იგივე, მერამდენედ უნდა გამოხვიდე ხალიჩაზე, კიდევ და კიდევ გაიმეორე ასჯერ, ათასჯერ შესრულებული ფანდი და მოძრაობა. მაგრამ უამისოდ დიდი სპორტი და მაღალი სპორტული შედეგები არ არსებობს. გამარჯვების ყველა საიდუმლო ამ მომ-

სპარტაკიადო საწვრთნელი შეკრება... ჰი, დაკვირდით ამ დიაგრამას. დატვირთვის დრო და მოცულობა ჩვეულებრივზე მეტია, ინტენსივობა კი — დაბალი. ბორკომში ბოლო შეკრებაზე პირიქით, ინტენსივობა გაიზრდება, რათა ვარჯიშის სტრუქტურა რაც შეიძლება დავუახლოვოთ საშეჯიბრებო სიტუაციას. ბიჭები თავს მშვენივრად გრძნობენ. თავიდან ძალების აღდგენა ცოტა უჭირდათ, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა“.

...დილაადრიან ყველანი ფეხზე იყვნენ. დღის რეჟიმში თითოეული საათი, თითოეული წუთიც გათვლილია. სამუშაო დღე დილის ვარჯიშით იწყება. რვა საათისთვის მთელი გუნდი საფეხბურთო მინდორზე შეიკრიბა. მოთელვამ კარგა ხანს გასტანა. ეს ერთგვარი შემზადებაა ორსაათიანი ძირითადი ქანცველ შრომასა და მოთმინებაში იმალება, აქ იჭედება ოსტატობა და ხასიათი.

11 საათია. ბიჭები დარბაზში გამწკრივებულან და მწრთნელის განკარგულებას ელოდებიან. დღეს ვარჯიშს ვლადიმერ მესტვირიშვილი უძღვება — ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მესტვირიშვილი აგერ უკვე მეხუთე წელიწადია რესპუბლიკის პირველ გუნდს უდგას სათავეში. მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა ფალავნებმა თვალსაჩინო გამარჯვებები მოიპოვეს. მაგრამ ეს გუშინ იყო. ახლა კი მორიგი სპორტული სიმაღლეა ასაღები — ხალხთა სპარტაკიადის ფინალამდე თვეზე ნაკლები რჩება... ძირითადი ვარჯიშიც, რა თქმა უნდა, მოთელვით იწყება: რბენა აჩქარებით, წინკოტრიალი, ჩაჯდომი, ბრუნები... მერე ბიჭები წყვილდებიან, ხალიჩაზე გამოდიან ნაკრების სხვა მწვრთნელებიც — ყველა ფანდი მათი მეთვალყურეობით სრულდება. დღეს ხუთიექვსი ილეთია დასამუშავებელი: „წისქვილი“, დაკიდებით გდება, ფეხში შესვლა, ჩოქბჯენში ფეხების გადაჯვარედინება, ტრიალი. თითოეულ მოძრაობას მწვრთნელის კომენტარი მოსდევს: „უფრო ღრმად ჩაუჯექი“; „გაშალე ორივე ხელი, თავი ძაღლა“; „კობა, ასე არ გამოვა, მაგრად შეეკარი და მერე გადააგდე“... ვლადიმერ მესტვირიშვილი ხან ერთ წყვილთან ტრიალებს, ხან მეორესთან და მესამესთან.

სასტვენის ხმა. პაუზა. გულივერ გოლეთიანი წამმზომს დასცქერის: „აბა, ავიყვანოთ პულსი!“... „სტოპ“. უბის წიგნაკში ანალი ჩანაწერები ჩნდება: ხაბელოვი — 168, გაბოძე — 174, გოგოლიშვილი — 180, ებანოიძე — 168, თურმანიძე — 180...

მერე ყველაფერი თავიდან იწყება. ბიჭები ნელ-ნელა გადიან დარბაზიდან, მწვრთნელები კი იქვე მაგიდასთან გროვდებიან. აქვეა საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ომზარ შოშიტაშვილი. ის ჩვენთან ერთად ჩამოვიდა ონში. ჩვენ, რა თქმა უნდა, უკვე ვიცით ის, რაც ახლა ომზარმა მწვრთნელთა სახელდახელო თათბირზე უნდა თქვას. გუშინ თურმე მოსკოვს ელაპარაკა და ბევრი ახალი ამბავი გაიგო: სპარტაკიადის წინ, ზუსტად ორი დღით ადრე, მოსკოვში დამთავრდება „კეთილი ნების თამაშები“. საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა შეკრებაზე გამოიძახეს ლერი ხაბელოვი, დავით გობეჯიშვილი და ეგია მუსოიანი, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, გამოვლენ თუ არა ისინი სპარტაკიადაზე. ჩვენი გუნდი ჩასათვლელ ქულებს მიიღებს, მაგრამ მედლების დაკარგვა, რა თქმა უნდა, სასურველი არ არის. ამას გარდა, საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვეულია ჩვენი რესპუბლიკის კიდევ რვა წარმომადგენელი. ახალგაზრდული გუნდი მსოფლიო თასის გათამაშებისა და ევროპის ჩემპიონატისთვის უნდა მოემზადოს. ეს შეჯიბრებები სპარტაკიადის შემდეგ ჩატარდება. ერთი სიტყვით, საქმე ისე მიდის, რომ ჩვენს მწვრთნელებს სპარტაკიადაზე სანახევროდ სათადარიგო გუნდის გამოყვანა მოუწევთ.

...მწვრთნელთა „მიკროთათბირი“ რომ დამთავრდა, ვლადიმერ მესტვირიშვილი დავიმარტოხელე: „სპარტაკიადაზე, რაც უნდა მოხდეს, სრულ გუნდს გამოვიყვანთ.

— ალბათ, ორი-სამი კილო. ყოველდღე ასეა.

ბიჭები ნელ-ნელა გადიან დარბაზიდან, მწვრთნელები კი იქვე მაგიდასთან გროვდებიან. აქვეა საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ომზარ შოშიტაშვილი. ის ჩვენთან ერთად ჩამოვიდა ონში. ჩვენ, რა თქმა უნდა, უკვე ვიცით ის, რაც ახლა ომზარმა მწვრთნელთა სახელდახელო თათბირზე უნდა თქვას. გუშინ თურმე მოსკოვს ელაპარაკა და ბევრი ახალი ამბავი გაიგო: სპარტაკიადის წინ, ზუსტად ორი დღით ადრე, მოსკოვში დამთავრდება „კეთილი ნების თამაშები“. საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა შეკრებაზე გამოიძახეს ლერი ხაბელოვი, დავით გობეჯიშვილი და ეგია მუსოიანი, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, გამოვლენ თუ არა ისინი სპარტაკიადაზე. ჩვენი გუნდი ჩასათვლელ ქულებს მიიღებს, მაგრამ მედლების დაკარგვა, რა თქმა უნდა, სასურველი არ არის. ამას გარდა, ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვეულია ჩვენი რესპუბლიკის კიდევ რვა წარმომადგენელი. ახალგაზრდული გუნდი მსოფლიო თასის გათამაშებისა და ევროპის ჩემპიონატისთვის უნდა მოემზადოს. ეს შეჯიბრებები სპარტაკიადის შემდეგ ჩატარდება. ერთი სიტყვით, საქმე ისე მიდის, რომ ჩვენს მწვრთნელებს სპარტაკიადაზე სანახევროდ სათადარიგო გუნდის გამოყვანა მოუწევთ.

...მწვრთნელთა „მიკროთათბირი“ რომ დამთავრდა, ვლადიმერ მესტვირიშვილი დავიმარტოხელე: „სპარტაკიადაზე, რაც უნდა მოხდეს, სრულ გუნდს გამოვიყვანთ.



გუნდური ადგილები

თავისუფალი ჭიდაობა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების სავალდებულო დისციპლინა გახლავთ. გასული სპარტაკიადების გუნდურ ჩათვლაში სხვებზე უკეთესი შედეგები რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს აქვთ, რომლებიც ჩემპიონის სახელს ოთხჯერ ფლობდნენ. რუსეთის მოჭიდაველებს საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ პირად ჩათვლაშიც: 23 ოქროს, 17 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი.

საქართველოს მოჭიდაველები ორჯერ — პირველ, ორჯერ — მეორე ადგილზე იყვნენ. პირად ჩათვლაში კი მათ 9 ოქროს, 12 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი აქვთ მოპოვებული. ამ მაჩვენებლით ისინი მეოთხე ადგილზე არიან.

გთავაზობთ ჩვენი ნაკრების შედეგებს ყველა სპარტაკიადაში:

1956 წ. I სპარტაკიადა — მე-2 ადგილი

1959 წ. II სპარტაკიადა — 3

1963 წ. III სპარტაკიადა — 2

1967 წ. IV სპარტაკიადა — 1

1971 წ. V სპარტაკიადა — 1

1975 წ. VI სპარტაკიადა — 6

1979 წ. VII სპარტაკიადა — 9

1983 წ. VIII სპარტაკიადა — 4

ყველა პრიზიორი

საქართველოს მოჭიდაველებს პრიზიორები ყველა სპარტაკიადაში ჰყავდათ მეშვიდის გარდა. იმ წელს (1979) საქართველოს ნაკრები მისთვის შეუფერებელ მეცხრე ადგილზე გავიდა.

1956 წ. I სპარტაკიადა. უმჩატესი: მ. ცალქალამანიძე — I; მსუბუქი: ს. გაბარაევი — III; პირველი ქვესაშუალო: ვ. ბალავაძე — II; პირველი საშუალო: გ. სხირტლაძე — I; მძიმე: ვ. ბათლიძე — III.

1959 წ. II სპარტაკიადა. მჩატე: ვ. არსენიანი — I; მსუბუქი: ა. გვიმრაძე — III; პირველი ქვესაშუალო: ვ. ბალავაძე — II; პირველი საშუალო: გ. სხირტლაძე — III; ქვემძიმე: შ. ლომიძე — III;

1963 წ. III სპარტაკიადა. უმჩატესი: ზ. შეყრილაძე — III; ქვემსუბუქი: ვ. რუბაშვილი —I; მსუბუქი: ზ. ბერიაშვილი — I.

1967 წ. IV სპარტაკიადა. ქვემსუბუქი: ს. ქარსაულიძე — II; მსუბუქი: ზ. ბერიაშვილი — II; პირველი ქვესაშუალო: გ. საღარაძე — II; პირველი საშუალო: ა. ცხოვრებოვი — II; ქვემძიმე — შ. ლომიძე — I.

1971 წ. V სპარტაკიადა. მჩატე: ზ. შეყრილაძე — II; ქვემსუბუქი: ტ. ალიბეგაშვილი — I; მსუბუქი: გ. ყვარელაშვილი — III; პირველი ქვესაშუალო: ნ. ხოხაშვილი— II; მეორე ქვესაშუალო: რ. მარსაგიშვილი — III; პირველი საშუალო: ლ. თედიაშვილი — I; ქვემძიმე: შ. ლომიძე — I.

1975 წ. VI სპარტაკიადა. ქვემძიმე: ლ. თედიაშვილი — II; მძიმე: ნ. მოდებაძე — II.

1983 წ. VIII სპარტაკიადა. მჩატე: ე. მუსოიანი — II; პირველი საშუალო: გ. მაკასარაშვილი — III; მძიმე: ჯ. ტარიელაძე — II.

ელგუჯა ბერიშვილი.
(„ლელოს“ ხეც. კორ.).
ჯემალ კახრაძის
ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის დაწყების 45 წლისთავის გამო

ტაშის დამკვრელი არავინ იყო

40-იანი წლების დასაწყისი კაცობრიობისათვის უმძიმესი გამოცდის პერიოდი იყო. შუაგულ ევროპაში აზვირთებულმა ძალადობის ტალღამ თავისუფლების მოყვარულ ხალხთა ილუზიები და იმედები სისხლის მორევში ჩაახრჩო. წარმატებებით თავბრუდახვეულმა და გათამამებულმა ფაშისტურმა სამხედრო მანქანამ პირი ჩვენი მიწა-წყლისკენ იბრუნა. მტრის მოზღვავებული ურდოების დასათრგუნად მთელი ქვეყანა როგორც ერთი კაცი, ალსდგა.

ომის პირველსავე დღეებიდან მთელი საბჭოთა სპორტი სამხედრო ყაიდაზე გადავიდა. მთელი ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობა საყოველთაო-სამხედრო სწავლების განუყოფელი ნაწილი გახდა.

1941 წლის სპორტული სეზონი ჩვენს ქვეყანაში ჩვეულებრივად დაიწყო, იგი სასიხარულო და საამაყო გამარჯვებებს გვპირდებოდა.

3-5 იანვარს მოსკოვში მოსწავლეტანმოვარჯიშეთა მეხუთე საკავშირო შეჯიბრება ჩატარდა. ასპარეზობაში სხვებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი მზია ჯუღელიც გამოდიოდა. გამარჯვება ამ პრესტიჟულ ტურნირში წილად ხვდა ა. ვოლკოვს, რომელმაც 160 შესაძლებლიდან 155,86 ქულა მოაგროვა. ჯუღელი ამ ბრძოლაში მესამე იყო — 151,94 ქულა.

24-30 მარტს ლენინგრადში მოეწყო რვა ქალაქის უძლიერეს ქალათბურთელთა ტრადიციული მატჩი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, კაუნასის, ლენინგრადის, ტარტუს, თბილისის, ბაქოს, ოდესისა და რიგის ვაჟთა გუნდებმა. ტურნირი დაუმარცხებლად ვერც ერთმა მონაწილემ ვერ განვლო. გამარჯვება ერთი წაგებით (ლენინგრადის გუნდთან, ანგარიშით 22:30) ტარტუს კოლექტივმა მოიპოვა. თბილისის გუნდი მეორე ადგილზე გავიდა (დამარცხდა ლენინგრადისა— 32:33 და ტარტუს კოლექტივთან — 29:36).

მარტსა და აპრილში მოსკოვში ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა მოჭადრაკეებმა საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად დაიწყეს ბრძოლა. გამარჯვება ლენინგრადელმა მიხეილ ბოტვინიკმა მოიპოვა — 13,5 ქულა. მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ესტონელ პაულ კერესსა (11 ქულა) და მოსკოველ ვასილ სმისლოვს (10 ქულა) ამ წარმატებისთვის დიდოსტატის წოდება მიენიჭათ.

ზამთრისა და გაზაფხულის მიჯნაზე კიდევ რამდენიმე საკავშირო შეჯიბრება ჩატარდა: ლენინგრადში — მოთხილამურეთა მეთვრამეტე ჩემპიონატი, მოსკოვში — საბჭოთა კავშირის პირველობა ცურვაში, მოეწყო მოციგურეთა, ფრენბურთელთა, ძალოსანთა ტურნირები...

17-20 ივნისს მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე საასპარეზოდ გამოვიდნენ მოფარიკაკეთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილენი. ეს იყო ომამდელი პერიოდის ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრება. ფარიკაობის ოსტატები მას შემდეგ მთელი ხუთი წლის მანძილზე სარბიელზე აღარ გამოსულან. სამგიეროდ, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებმა ხელჩართული ბრძოლის ოსტატთა მომზადება თავეს და ამ პატრიოტულ საქმეში დიდ წარმატებასაც მიაღწიეს.

ამ წელს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი ახლებურად ჩატარდა. მაისის პირველ რიცხვებში მჩატე წონის ათლეტთა ტურნირს ლვოვი მასპინძლობდა, მერე თანდათანობით პირველობა ქვემსუბუქ (ბაქოში) მსუბუქ (გორკში), ქვესაშუალო (ყაზანში), საშუალო (კიევში) და ქვემძიმე (ლენინგრადში) წონის მოჭიდავეებმა გაითამაშეს. ქუთაისის დინამოელმა ილია ბობხიძემ ქვემსუბუქ წონაში III ადგილი დაიკავა. ასეთივე შედეგი, ოღონდ ქვემძიმე წონაში, თბილისის დინამოელ შალვა ჩიხლაძეს ჰქონდა. 5-7 ივლისს მოსკოვის სარბიელზე მძიმე წონის ათლეტები უნდა გამოსულიყვნენ. უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ვერ გამოვიდნენ...



1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. ამ დღეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უსამართლო და სისხლისმღვრელი ომი დაიწყო — საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი სამამულო ომი...

ორი დღის შემდეგ კი თბილისის „დინამოს“ დაკარიელებულ სტადიონზე 1941 წლის საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩი გაიმართა — ადგილობრივი დინამოელები ლენინგრადის თანაკუბელებს შეხვდნენ (საკავშირო ჩემპიონატი სწორედ ამ დღეს შეწყდა). თამაში თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 3:2 (სამივე ბურთი დინამოელთა ლიდერმა ბორის პაიჭაძემ გაიტანა), მაგრამ იმ დღეს სტადიონზე ტაშის დამკვრელი არავინ იყო...

ეს იყო ორმოცდახუთი წლის წინათ

1941 წლის 22 ივნისი. ის დღე, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით დამამახსოვრდა. თბილისის ფიზკულტურის საბჭოს საცურაო აუზში ვმუშაობდი და იქვე ვცხოვრობდი. აუზის გამგეც მე ვიყავი და მწვრთნელიც. იმ დილით, ჩვეულებრივ, ბავშვებს ველოდებოდი. რამდენიმე ბავშვი მოვიდა, ისიც დაგვიანებით. ვხედავ, გიორგი ბარნაბიშვილი იქვე, ხეივანში დგას და ბავშვებს ელაპარაკება. ბავშვებს გაოცებული და შეშფოთებული სახეები აქვთ. მივხვდი, რომ რაღაც საშინელი ამბავი მოხდა. მერე ყველანი ჩემსკენ შემობრუნდნენ. გიორგიმ მითხრა, გაიგე, ომი დაიწყო!

თავზარი დამეცა.

...რამდენიმე დღეში მთელი ქალაქი დაცარიელდა. ვინც ჯანმრთელი იყო, ყველა ფრონტზე წავიდა, მეც გამიწვიეს, მაგრამ ცოტა ხანში, როგორც პედაგოგი, უკან მომაბრუნეს. ახალგაზრდებს ვასწავლიდი სამხედრო-გამოყენებით ცურვას. კარგა ხანს ვიმუშავე 26 კომისრის სახელობის არტილერიის სასწავლებელში, ოფიცერთა კურსებზე.

ომმა ბევრი მეგობარ-ახლობელი წამართვა, ბევრი კარგი შეგირდი დავკარგე.

ომის საშინელება არასოდეს არ უნდა გამეორდეს.

ლუკა იოსაკიმიდი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

18 июня 1986 г. № 25 (5091)
ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ СССР
ИЗДАЕТСЯ С 1929г. ВЫХОДИТ ПО СРЕДАМ ЦЕНА 30 коп.

ციტატა

ცნობილი მოსკოველი ჟურნალისტი იური როსტი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მოზრდილ მასალაში „ოპტიმიზმის შენარჩუნებით“ (ფეხბურთის შესახებ 15 ივნისამდე და მერე...) საინტერესოდ მოგვითხრობს მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატზე, მისთვის დამახასიათებელი გულახდილობით, ორიგინალურობით მიმოიხილავს ჩვენს საფეხბურთო მეურნეობას, იხსენებს ოთხიოდე წლის წინანდელ ამბავს, როცა ლობანოვსკის „შემდგომში“ უსაფუძვლოდ ეკრძალებოდა ნაკრებთან მუშაობა, წერს მსოფლიოს ჩემპიონატზე სპეციალისტებისა და სპორტული ჟურნალისტების გამგზავრებაზე სპორტული ორგანიზატორების მიერ აღმართულ ბარიერებზე, საფეხბურთო რეპორტაჟების ხარისხზე...

ერთი სიტყვით, ზემოხსენებული მასალა მრავალმხრივ საინტერესოა. დღეს ფეხბურთის მოყვარულებს ერთ ციტატას ვთავაზობთ:

„...ჩვენ ვერ მოვიგეთ მსოფლიო ჩემპიონატი და მეოთხედფინალშიც ვერ გავედით. არ გამოგვივიდა, ვერ გაგვამართლა, დასანანია... როგორც გინდა, ისე ვთქვათ. მაგრამ იმას ვერ ვიტყვით, რომ უხერხულობის გრძნობა დაგვეუფლა, რომლისადმი ჩემპიონატის დაწყებამდე ვიყავით შემზადებული... როგორც გვახსოვს, მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე გუნდის ხელმძღვანელის ფაქტიური შეცვლა მოხდა თამაშების დროს — მეთექვსმეტედფინალში, როდესაც გუნდი სახაპარეზოდ გამოუყავდა ვალერი ლობანოვსკის — გუნდი, რომელსაც მანამდე საკმაოდ ღირსეულად მეთაურობდა კონსტანტინე ბესკოვი და. რომლის შეცვლის არავითარი საჭიროება არ იყო. ახლა ლობანოვსკი მიიწვიეს უფროს მწვრთნელად სასტარტო მატჩამდე სამი კვირით ადრე... თუ საქმე ასე წავა შემდგომშიც, მაშინ, შესაძლოა, მორიგ მსოფლიო საფეხბურთო თავყრილობაზე ჩვენს გუნდს გაუძღვეს სპეციალისტი (არ არის გამორიცხული, რომ იგივე ლობანოვსკი), რომელსაც მისცემენ საშუალებას ფეხბურთელებთან იმუშაოს სამი თვე მაინც...“

მექსიკური მოზაიკა

⊙ **მექსიკის** მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალის ყველა მონაწილის გამოვლენის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები შინისკენ გამოემგზავრნენ. მათთან ერთად, რა თქმა უნდა, გამოემგზავრნენ მწვრთნელებიც.

სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ „პრავდის“ კორესპონდენტებს განუცხადა:

— მექსიკაში დარჩნენ ჩვენი მეთვალყურეები, ისინი აქ გადაიღებენ ყველაფერს, რაც კი საყურადღებო და საინტერესოა ჩვენთვის, ჩამოგვიტანენ ყველა მატჩის ვიდეოჩანაწერს. მექსიკაში ჩვენს ფეხბურთელებს ვერ დავტოვებთ, ისინი უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბებს, შემდეგ კი მოემზადონ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის, რომლებიც სექტემბრიდან გაიმართება.

⊙ **მიმდინარე** მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე უდისციპლინონი, ჯერჯერობით, არიან ურუგვაისა და პარაგვაის გუნდები. ურუგვაელთაგან ორი ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს, თერმომეტმა გაფრთხილება მიიღო. არანაკლები დარღვევებია პარაგვაელთა გუნდშიც. გარდა ამისა, თითო თამაშით დისკვალიფიკაცია მიეცათ და მატჩის მსვლელობის დროს თავიანთი გუნდების ხელმძღვანელობა აეკრძალათ ომარ ბორასს (ურუგვაი) და კაეტანო რეს (პარაგვაი).

⊙ **სსრ კავშირისა** და ბელგიის გუნდების მერვედფინალური მატჩის გვერდითი მსაჯი ვიქტორიანო სანჩესი (ესპანეთი), რომელმაც ორი უხეში შეცდომა დაუშვა თამაშგარე მდგომარეობის ფიქსირებისას, მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგიის მიერ გადაყენებულია მსაჯობიდან.

⊙ **მექსიკის** მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე მწვრთნელთაგან ნაკრებთან მუშაობის ყველაზე მეტი სტაჟი აქვს ბელგიელ გი ტისს. იგი 10 წელია მეთაურობს ბელგიის ნაკრებს. ყველაზე ნაკლები სტაჟი აღმოაჩნდა ჩვენს მწვრთნელს ვალერი ლობანოვსკის — 1 თვეზე ოდნავ მეტი.

⊙ **მსოფლიო** ჩემპიონატი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ზოგიერთმა მწვრთნელმა კი უკვე განაცხადა, რომ თავს ანებებს ნაკრებთან მუშაობას. ასეთი განცხადება გააკეთა მაგალითად, უნგრეთის გუნდის ხელმძღვანელმა დ. მეზეიმ.

⊙ **მაროკოს** გაზეთმა „ოპინიონმა“ აღნიშნა, რომ მერვედფინალური მატჩი ბელგიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე. გაზეთი მიუთითებს, რომ სოციალისტური ქვეყნებისა და აფრიკის გუნდები დიდად დაზარალდნენ მსაჯთა მიკერძოების გამო. კერძოდ, საბჭოთა ნაკრებს პირდაპირ „ხელიდან გამოგლიჯეს“ მეოთხედფინალში მონაწილეობის საგზური.

⊙ **მონტერეის** ჯგუფში მოასპარეზე ყველა გუნდმა (პოლონეთი, ინგლისი, პორტუგალია, მაროკო) „უნივერსიტარიოსა“ და „ტეხნოლოგიკოს“ სტადიონების ადმინისტრაციას ბალახის გაკრეჭა მოთხოვა: „იგი იმდენად მაღალია, რომ ბურთის მოძრაობასაც ხელს უშლის და მოთამაშეებსაც არ აძლევს საშუალებას ბოლომდე გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები“. ერთხანს ადმინისტრაცია ჯიუტობდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. ალბათ, როგორც გამოირკვა, მაღალ ბალახში მოედნის უსწორმასწორო ზედაპირი არ ჩანდა. სიჯიუტის მიზეზიც ეს იყო.

ლუის მენოტის პროგნოზი...

არგენტინელი მწვრთნელი ლუის ცეზარ მენოტი ცნობილი პიროვნებაა საერთაშორისო ფეხბურთში და, რა თქმა უნდა, იგი ახლა მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატს ესწრება.

საინტერესოა მისი პროგნოზები მეოთხედფინალური მატჩების თაობაზე: ბრაზილია — საფრანგეთი 2:1, გფრ — მექსიკა 2:1, არგენტინა — ინგლისი 1:0, ესპანეთი — ბელგია 3:1.

ჩემპიონატის სტატისტიკა

მატჩი №43. ინგლისი — პარაგვაი 3:0 (1:0). მერვედფინალი. მეხიკო. 18 ივნისი. გოლები: ლინეკერი — 2, ბერდსლი. მსაჯი დ. ალ-შარიფი (სირია). 65.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ინგლისელები მარტინი და ხოჯი, აგრეთვე, პარაგვაელი ნუნეზსი.

მატჩი №44. ესპანეთი — დანია 5:1 (1:1). მერვედფინალი. კერეტარო. 18 ივნისი. გოლები: ე. ოლსენი (დანია, 11-მეტრიანი), ბუტრაგენიო-4, გოიკოეჩეა (11-მეტრიანი, ესპანეთი). მსაჯი. ფ. კაიზერი (პოლანდია). 35.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ესპანელები გოიკოეჩეა, მიჩელი, აგრეთვე, დანიელი ანდერსენი.

დღეს თამაშობენ:

არგენტინა — ინგლისი

მეხიკოში, „აცტეკას“ სტადიონზე დღეს ერთმანეთს შეხვდებიან არგენტინისა და ინგლისის ნაკრები გუნდები. ინგლისელებმა კარგად ჩაატარეს ბოლო ორი შეხვედრა და ერთნაირი დიდი ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს პოლონეთისა და პარაგვაის გუნდები. ამან საგრძნობლად ასწია ინგლისელთა აქციები, მაგრამ გულხელდაკრეფილნი, რა თქმა უნდა, არც არგენტინელები მსხდარან. მათ საკმაოდ დიდი მიზანი აქვთ დასახული, რომლის მისაღწევადაც ალბათ ყველა ღონეს იხმარენ.

ამ ორი ქვეყნის ნაკრები გუნდები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში სულ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორჯერვე ინგლისელებმა გაიმარჯვეს: 3:1 (1962 წელი) და 1:0 (1966). ინგლისელების უპირატესობაზე მიგვანიშნებს შეხვედრათა საერთო ბალანსიც: 4 გამარჯვება, 3 ფრე, ერთი წაგება (ბურთების შეფარდება 12:7).

ესპანეთი — ბელგია

პუებლას „კუაუტემოკის“ სტადიონის მინდორზე გამოვლენ ესპანეთისა და ბელგიის ეროვნული გუნდები. მერვედფინალურ შეხვედრებში ბელგიელებმა დაამარცხეს საბჭოთა ფეხბურთელები — 4:3, ესპანელებმა კი დიდი ანგარიშით სძლიეს დანიელებს — 5:1, ამ შეხვედრაში გამარჯვებულთა თავდამსხმელმა ემილიო ბუტრაგენიომ 4 გოლი გაიტანა. ბელგიისა და ესპანეთის გუნდების დღევანდელი მატჩი მათი პირველი შეხვედრა იქნება მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირში, სხვა დროს ეს გუნდები 13-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს: 5-ჯერ გაიმარჯვეს ბელგიელებმა, 4-ჯერ — ესპანელებმა, ამდენივე შეხვედრა ფრედ დამთავრდა (ბურთების შეფარდება 22:17 ესპანელთა სასარგებლოდ).

სსრ კავშირის თასი ფეხბურთში

დინამოელები სტუმრად ითამაშებენ

სსრ კავშირის 45-ე თასის გათამაშებაში, რომლის ფინალური მატჩი 1987 წელს გაიმართება, ჩატარდება მერვედფინალური მატჩები. 20 ივნისს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომაზე დადგინდა გათამაშების რეგლამენტი. დებულების შესაბამისად, წილისყრის გარეშე გამოვლინდნენ მასპინძლები, რომლებიც ამ ეტაპზე შინ მიიღებენ მეტოქეებს (შავი შრიფტით აღნიშნულია გუნდები, რომლებიც თავიანთ მინდვრებზე თამაშობენ: **„ზენიტი“ (ლენინგრადი)** — „დინამო“ (მინსკი), **„მეტალისტი“ (ხარკოვი)** — „სპარტაკი“ (მოსკოვი), **„დინამო (მოსკოვი)** — „დაუგავა (რიგა), **ახკ „კარპატი“ (ლვოვი)** — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი).

წილისყრით გაირკვა სხვა შეხვედრათა მასპინძლები: **„ტორპედო“ (მოსკოვი)** — „დინამო“ (თბილისი), **„ტავრია“ (სიმფეროპოლი)** —„ხიმიკი“ (გროდნო), **„კოლოსი“ (ნიკოპოლი)** — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე).

ჩასატარებელია მეთექვსმეტედფინალური მატჩი სტავროპოლის „დინამოსა“ და კიევის „დინამოს“ შორის. ამ მატჩში გამარჯვებული შეხვდება კიროვაბადის „ქიაფაზს“.

მერვედფინალური მატჩები გაიმართება 5 აგვისტოს, წინა დღეს კი ითამაშებენ ლენინგრადის „ზენიტი“ და მინსკის „დინამო“.

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისში გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა შეხვედრა. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ოდესის „ჩერნომორეცი“.

მატჩი დამთავრდა „ჩერნომორეცის“ გამარჯვებით — 3:2. თბილისელთაგან ორივე ბურთი გაიტანა უგრელიძემ.

„დინამოს“ შემადგენლობა: მეშკოვი, მიქაბერიძე (ნადარეიშვილი), შენთუშაშვილი, ჩიხრაძე, კალატოზიშვილი, კაკილაშვილი, დარჩიაშვილი, ჟორდანია (მარეხაშვილი), გოგოჭიანი, უგრელიძე (გამყრელიძე), თედეევი.

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

დამთავრდა რაიონული შეჯიბრება „ტყავის ბურთის“ პრიზზე სამ ასაკობრივ ჯგუფში.

უმცროს ასაკში (1975-1976 წლებში დაბადებულნი) გაიმარჯვა ლესიჭინეს პირველი საშუალო სკოლის გუნდმა, მეორე ადგილი ჩხოროწყუს პირველი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა დაიკავეს, მესამე ადგილზე კი ლესიჭინეს მეორე საშუალო სკოლის კოლექტივი გავიდა.

საშუალო ასაკის (1973-1974 წლებში დაბადებულნი) ფეხბურთელთა ტურნირში გამარჯვება ასევე ლესიჭინეს პირველი საშუალო სკოლის ბიჭებს დარჩათ. ჩხოროწყუს მეორე საშუალო სკოლის ფეხბურთელები აქაც მეორე ადგილზე გავიდნენ, მესამე ადგილი ახუთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს.

უფროს ასაკში (1971-1972 წლებში დაბადებულნი) ყველას ჩხოროწყუს პირველი საშუალო სკოლის გუნდმა აჯობა. მეორე იყო ლესიჭინეს პირველი საშუალო სკოლის კოლექტივი, მესამე ადგილი ქვედა ჩხოროწყუს საშუალო სკოლის წარმომადგენლებს ხვდათ წილად.

სოსო ჯალაღონია.

MEXICO86

ფეხბურთელთა XIII მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ნახევარს მექსიკაში გაჭეთ „ლელოს“ კორესპონდენტი **დავით კაკაბაძე** ესწრებოდა. დღეს ჩვენ გთავაზობთ მის მიერ გადაღებულ ფოტოსურათებს.



ძველი აცტეკების პირამიდა — მსოფლიო XIII ჩემპიონატის ერთ-ერთი სიმბოლო.

მექსიკა ტრადიციული სომბრეროს გარეშე წარმოუდგენელია. ქუჩა, მოედანი, ბაღი თუ პარკი — ყველაფერი ფეხბურთით ცხოვრობს.

სასტუმრო „პლასა ფლორიდა“ ქალაქ ირაპუატოში, სადაც საბჭოთა ფეხბურთელები ცხოვრობდნენ.

ფეხბურთს ყველა ასაკი ემონება.

„მერანი“ № 12

გამოვიდა „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მე-12 ნომერი.

ნომერი იხსნება ცნობით ქართველი მოჭადრაკეების იმ წვლილის შესახებ, რომელიც მათ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურზე მომხდარ ავარიაში დაზარალებულთა დახმარების ფონდში შეიტანეს.

გაზეთი იუწყება გენიალური კუბელი მოჭადრაკის კაპაბლანკას XII საჭადრაკო ფესტივალის პროგრამით გამართულ ქალთა I საერთაშორისო ტურნირში დიდოსტატ ნანა იოსელიანის გამარჯვების ამბავს და ბეჭდავს მის ორ პარტიას კომენტარებითურთ.

დიდოსტატ ედუარდ გუფელდის ვრცელ წერილში საუბარია ვ. ქარსელაძის VII მემორიალზე. ავტორს მოჰყავს შეჯიბრების შედეგების ცხრილი, მოჭადრაკეთა პარტიები, დაბოლოებები.

გამოჩენილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორის ა. დობორჯგინიძის მოღვაწეობა-შემოქმედებას ეძღვნება აწ გარდაცვლილი ცნობილი საჭადრაკო პრობლემისტის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ოთარ ტაბიძის წერილი. კომპოზიციის განყოფილებაში დაბეჭდილია საერთაშორისო ოსტატ ვლადიმერ კალანდაძის სამსვლიანი ამოცანა, რომელსაც ავტორი ო. ტაბიძის ხსოვნას უძღვნის.

ახალი რუბრიკით — „კონკურსი“ — დაბეჭდილია ცნობა, რომ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით ეტიუდისტთა საერთაშორისო კონკურსი გამოაცხადა.

საინტერესო მასალებს გაეცნობა მკითხველი რუბრიკებით: „სიბრძნის წყარო“, „ერთი შემთხვევა“, „ძველი ამბების სკივრი“, „უცხოური პრესის ფურცლებზე“, „მოჭადრაკეები ხუმრობენ“.

თქვენი სვლაა

ამოცანა

ე. გიზე

1958 წ.



შამათი სამ სვლაში

„ლელოს“ 8 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ო. ბარდას ამოცანის ამოხსნაა: 1. მge5 c3 2. ლg8+; 1. ...b5 2. მc5

დღის ფესტივალი „ოლიმპიადა-88“

ეენევა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში გაიმართა სოკ-ის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ კორეის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ერთობლივი მოლაპარაკების მესამე ტური. განხილულ იქნა კორეის ჩრდილოეთში და სამხრეთში ოლიმპიადა-88-ის ჩატარებასთან დაკავშირებული რიგი პრინციპული საკითხები. საბოლოო გადაწყვეტილებას ამის თაობაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მიიღებს თავის სესიაზე, რომელიც ოქტომბერს ლოზანაში გაიმართება.

ინფორმაცია

კიევი. მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ სენსაციად 20 წლის კუბიშეველი ნიკოლოზ ევსეევის გამოსვლა მიაჩნიათ. ამ ახალგაზრდა, ნიჭიერმა მოცურავემ მეოთხე ოქროს მედალი ვაჟთა ესტაფეტაში (4X100 მ. თავისუფალი სტილით) მოიპოვა. მანამდე კი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო —1.50,72. საკავშირო ჩემპიონატი დღეს დამთავრდება.

ვოლგოგრადი. მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში გაზეთი „სოვეტსკაია კულტურას“ პრიზზე პირველი დღის შემდეგ ომსკელი ტატიანა დრუჩინინა დაწინაურდა — 19,90. მეორე ადგილზეა ბულგარელი ველიჩკა კოსტადინოვა — 19.85, მესამეზე — რიაზანელი ლარისა მედვედევა — 19,35. დრუჩინინამ სატუნებლით ვარჯიშში უმაღლესი შეფასება — 10 ქულა მიიღო.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 22 ივნისი. რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში (მეოთხედფინალური მატჩები): ბრაზილია — საფრანგეთი — **9.30 (2);** მექსიკა — გფრ — **12.30 (1);** მსოფლიო ჩემპიონატის დღიური — **22.45 (1);** არგენტინა — ინგლისი **23.00 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში — **18.25 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ცხენოსნობაში— **20.30 (2);** სსრ კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა — **21.15 (2);**

23 ივნისი. დილის ტანვარჯიში— **9.00 (1);** მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში (მეოთხედფინალური მატჩები): ბელგია — ესპანეთი — **10.00 (1);** არგენტინა — ინგლისი (მეორე ტაიმი) — **11.35 (2);** ბელგია — ესპანეთი — **23.00 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში — **14.30 (2);** სტადიონი ყველასთვის — **17.35 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **19.20 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 22 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: მექსიკა — გფრ — **12.30;** მსოფლიო ჩემპიონატის დღიური — **22.45;** არგენტინა — ინგლისი — **23.00;** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — **20.00.**

23 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბელგია — ესპანეთი — **10.00;** არგენტინა — ინგლისი — **11.35;** ბელგია — ესპანეთი — **23.00;** სპორტული გადაცემა — **17.55.**

საქართველოს რადიო. 22 ივნისი. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური — **9.15;** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30;** სსრ კავშირის ჩემპიონტი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — **21.00;** „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — **22.00.**

23 ივნისი. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური — **9.15;** რიტმული ვარჯიში — **11.40.**

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

27 ივნისს დღის 15 საათზე მძლეოსნობის სასახლის სხდომათა დარბაზში (წერეთლის პროსპექტი № 95-ა) მოწვეულია საქართველოს სპორტული საზოგადოება **„სპარტაკის“ VII პლენუმი.**

პლენუმის წევრების რეგისტრაცია იწარმოებს დილის 10 საათიდან.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვა“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07502